დილემა 1.

ლუკა დამამთავრებელი კლასის ბეჯითი მოსწავლეა, მაგრამ მას მეცადინეობისათვის არა აქვს საკმარისი დრო, რადგან მარტოხელა 3-შვილიანი დედის დასახმარებლად, საღამოობით, მანქანების სამრეცხაოში მუშაობს. აღნიშნულის გამო, ისტორიაში, ძირითადად დაბალ ქულებს იღებს და თუ ის ისტორიის ბოლო გამოცდას ვერ ჩააბარებს, ვერ შესძლებს სკოლის დამთავრებას. ლუკა თავის უფროსს წინასწარ მოელაპარაკა, რომ გამოცდის წინა საღამოს სამსახურს გააცდენს და გამოცდისთვის მოემზადება. საღამოს კი უფროსი მას ურეკავს შეტყობინებით, რომ ძალიან სჭირდება მისი დახმარება და აიძულებს, რომ საღამოს სამსახურში მივიდეს. ლუკა დილის 1 საათზე დაღლილი ბრუნდება შინ, ცდილობს იმეცადინოს, მაგრამ წიგნით ხელში ჩაეძინება. დილის 7 საათზე კი მას დედა აღვიძებს სკოლაში წასასვლელად... ისტორიის გამოცდაზე, ლუკა მოუმზადებელი მიდის. მარის, კლასის ერთ-ერთ საკუთესო მოსწავლეს, ტესტი ისე უდევს, რომ ლუკა თავისუფლად ხედავს ყველა კითხვის პასუხს. ლუკას ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს: თუ გადაიწერს, ის გამოცდას ჩააბარებს; მაგრამ იცის, რომ გადაწერა არაზნეობრივი საქციელია; მეორე მხრივ, თუ ის არ გადაიწერს, ზნეობრივად მოიქცევა, მაგრამ გამოცდას, დიდი ალბათობით, ვერ ჩააბარებს. როგორ ფიქრობთ, სწორი საქციელი იქნება თუ არა ლუკამ რომ ტესტი მარისგან გადაწეროს? რატომ ფიქრობთ ასე?

დილემა 2.

სოფო სამსახურში წასასვლელად ემზადება, მან სახლიდან გამოსვლისას ნარჩენები გამოიტანა გადასაყრელად. სანაგვე ყუთი ავტობუსების გაჩერებიდან ოდნავ მოშორებითაა. თითქმის გაჩერებასთან მისულმა, დაინახა რომ ავტობუსი გაჩერებას უახლოვდება. სოფო ხვდება, რომ თუ ნარჩენებს სანაგვე ყუთამდე მიიტანს, მობრუნებისას, ის ავტობუსს ველარ მიუსწრებს, შესაბამისად, სამსახურში დააგვიანებს და, ალბათ, უფროსის გაბრაზებასაც დაიმსახურებს. სოფომ მიმოიხედა და ირგვლივ არავინაა, მაგრამ, მიუხდავად ამისა, მას არ სურს ქუჩაში ნარჩნების დატოვება, რადგან იცის, რომ ეს

არაზნეობრივი საქციელია. რას ურჩევდით სოფოს ასეთ შემთხვევაში- დატოვოს ნარჩენები ქუჩაში და სანაცვლოდ დროულად მივიდეს სამსახურში თუ მიიტანოს ნარჩენები სანაგვე ყუთთან და დააგვიანოს სამსახურში? რატომ ფიქრობთ ასე?

<u>დილემა 3.</u>

მათემატიკის გაკვეთილზე ტესტის წერის დასრულებისას, ნიკას, გვერდით მერხზე მჯდომი თანაკლასელის სკამთან ახლოს, დაუვარდა ფურცელი, რომელზეც ტესტის საკითხების მზა პასუხები ეწერა. არავის დაუნახავს რომ ის ნიკას დაუვარდა, თუმცა ვიდრე ის აღებას მოასწრებდა, მანამ მასწავლებლმა დაინახა და აიღო. გაბრაზებული მასწავლებელი მივიდა მოსწავლესთან, რომლის მერხთან უფრო ახლოსაც აღმოაჩინა ფურცელი. ნიკამ იცის, რომ ის არავის დაუნახავს ფურცლის დავარდნისას და თუ არაფერს იტყვის, მასზე ვერავინ მიიტანს ეჭვს, შესაბამისად, ტესტს ჩააბარებს და მაღალ ქულასაც მიიღებს, მაგრამ ისიც იცის, რომ, ამ შემთხვევაში, თანაკლასელს უსამართლოდ მოექცევა. როგორ ფიქრობთ, სწორი საქციელი იქნება თუ არა, რომ ნიკამ სიმართლე დამალოს? რატომ ფიქრობთ ასე?